FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

დავით იასაშვილის ისტორია

დავით იასაშვილი ყოფილი სამხედროა. მას ბრალად ედება წვრილმანი ხულიგნობა, პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და პოლიციელის შეურაცხყოფა. აღსანიშნავია, რომ დავითი ერთ-ერთი პირველია, ვინც საპროტესტო აქციის დროს დააკავეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ის 2024 წლის 29 ნოემბერს, ჭიჭინაძის ქუჩაზე დააკავეს. დავითი პროევროპულ აქციაზე 28 ნოემბერს მივიდა, როდესაც 29 ნოემბერი დადგა, დაახლოებით 00:15-დან 00:30 საათის მონაკვეთში, სავარაუდო პროვოკატორმა ჭიჭინაძის ქუჩაზე ისროლა შუშის ბოთლი, რომელიც პოლიციელს მოხვდა. დავითი და იქვე მდგომი ქალბატონი პოლიციელს გამოექომაგნენ, ამ დროს მან შეამჩნია, რომ პოლიციელებმა უკან დაიხიეს და გზა დაუთმეს ნიღბიანებს. ერთ-ერთმა ნიღბიანმა იმ ქალბატონს, რომელიც დაზარალებულ პოლიციელს გამოექომაგა, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ამის პარალელურად კი მეორე ნიღბიანმა დავითი შეითრია პოლიციელების მასაში.

დავითს მაშინვე მივარდა 10-მდე ნიღბიანი, ძირს დააგდეს და დაუწყეს წიხლების რტყმა, სავარაუდოდ სწორედ ამ დროს გაუტყდა დაზარალებულს თავი. ის გაატარეს პოლიციელების კორდონში, მას ყველა ურტყამდა, ხელები ჰქონდა აფარებული თავზე. რადგან სახე დაფარული ჰქონდა, ბრაზდებოდნენ: - „სახეში როგორ ვერ მოვარტყით“. ხელები რომ არ აეფარებინა შეასხეს წიწაკის სპრეი დამიზნებით ხელებზე და სახეზე (რომელმაც ძალიან დაუწვა ხელებზე კანი, დამწვრობა თვალით იყო ხილული და ასევე პერიოდულად აწუხებდა 4 დღის განმავლობაში), შედეგად ჩამოწია სახიდან ხელები და დაარტყეს სახეში , ჰქონდა ხილული დაზიანება მარცხენა თვალბუდის არეში; თავზე კეფის არეში სპეცრაზმელების ფეხებით ცემის შედეგად როდესაც ძირს დააგდეს მიიღო ნახეთქი ჭრილობა, საიდანაც სისხლდენა არ უჩერდებოდა. შედეგად, სისხლით სრულად დაესვარა ქურთუკი, ასევე შარვალი და ფეხსაცმელი.

შემდეგ მიიყვანეს პოლიციის ფურგონთან(მინივენი), სადაც მის გარდა სამი სხვა დაკავებული მოგვიანებით, 2 წუთში დაამატეს. აქედან ერთი იძახდა: რატომ დამაკავეთ, ჟურნალისტი ვარო. ეს ჟურნალისტი იძახდა დავითზე, რომ ძალიან სისხლიანი იყო და ექიმის დახმარება სჭირდებოდა, მას პირადად არ უგრძვნია რომ სისხლიანი იყო. გადაიყვანეს იქვე მდებარე სახელმწიფო შენობაში, რომელსაც ჰქონდა ნაცრისფერი გისოსები და დაზარალებულის აღქმით სამედიცინო ცენტრი იყო ამავე შენობაში. პირი ჰქონდა სრულად სისხლიანი, ცხვირიდანაც სისხლი მოსდიოდა, ასევე კეფის არიდან ჰქონდა ძლიერი სისხლდენა, რომელიც არ უჩერდებოდა. იქ მყოფმა ექიმებმა თქვეს, რომ იყო ძალიან დაშავებული და დააფიქსირეს, რომ აუცილებელი იყო მისი კლინიკაში მოთავსება.
ერთ-ერთმა პოლიციელმა, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტში შემდგომ გაფორმებული იყო დავითის ოფიციალურ დამკავებლად, დააორგანიზა მისი კლინიკაში გადაყვანა, მასთან ერთად ასევე იყო ორი პოლიციელი, რომლებმაც უზრუნველყვეს მისი ტრანსპორტირება.

ხელბორკილი დოკუმენტში გაფორმებულმა დამკავებელმა დაადო. თავდაპირველად ზურგს უკან, შემდგომ გზაში დავითმა მოითხოვა ხელბორკილის წინ გადმოტანა და გადმოუტანეს. მიიყვანეს კავკასიის მედიცინის ცენტრში, რომელიც მდებარეობს ვაჟა-ფშაველას გამზირზე, მოდულის შენობის გვერდით.

სამედიცინო ცენტრში დავითს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. დაზარალებულმა სამედიცინო დაწესებულება დაახლოებით 05:00 საათზე დატოვა, თუმცა მოუწია კლინიკის სალაროსთან დაყოვნება, რადგან დიდი ბოდიშის მოხდით სამედიცინო დახმარების საფასურის გადახდა მოთხოვეს, რაც დაახლოებით 500₾-ზე მეტი იყო.
კავკასიის მედიცინის ცენტრიდან დავითი მიიყვანეს კახეთის გზატკეცილზე, სადაც დილის 5-6 საათამდე დააყოვნეს. ელოდნენ ინფორმაციას, რომელ იზოლატორში გადაეყვანათ, ადმინისტრაციული ოქმი იქ შეადგინეს. წაიყვანეს ზაჰესის იზოლატორში, მძღოლს ეძინებოდა. ამის გამო 2-ჯერ კინაღამ ავარიაში მოყვნენ, დაახლოებით დილის 7-ზე მივიდნენ ზაჰესის იზოლატორის ეზოში. რიგში იყო ძალიან ბევრი დაკავების ავტომობილი და დროებითი მოთავსების იზოლატორში შეიყვანეს. დაზარალებულს ექიმის მიერ ფორმალური შემოწმება ჩაუტარდა და შეასახლეს საკანში, სადაც 48 საათი გაატარა. ის იზოლატორიდანვე გადაიყვანეს სასამართლოში.

დავითის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საფუძველზე. მისი საქმე განიხილა მოსამართლე - კობა ჩაგუნავამ. საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა, თუმცა არცერთი მათგანი არ იყო რეალური დამკავებელი. საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არცერთი ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა სამართალდარღვევის ჩადენას. მოსამართლემ მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე სამართალდამრღვევად სცნო და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 2000₾-ის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის მხარემ, ზემოაღნიშნული ფაქტების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. მათ წაიღეს სისხლიანი ტანსაცმელი ექსპერტიზისთვის. იზოლატორში დავითი ესაუბრა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს სტრასბურგიდან და სახალხო დამცველის აპარატს.

არსებული ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება დაიწყო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე. გარდა ამისა, პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც წამება, ან/და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობა.
დავითი გამოიკითხა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში. საგამოძიებო ორგანოებს მისთვის ჯერ დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებიათ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დღემდე არ მომხდარა ამ პოლიციელების იდენტიფიცირება/ამოცნობა და დაკავება.